„ვამტკიცებ“

საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია

------------------------------------

10 იანვარი 2026

სალიცენზიო შეჯიბრება სარეიტინგო ტურნირებისთვის 2012-2013 წლებში დაბადებულ ვაჟთა შორის

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

6 - 8 თებერვალი

2026

თბილისი

## I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ძიუდოისტთა შერჩევა უმცროს ჭაბუკთა სარეიტინგო ტურნირებისთვის.

## II. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- შეჯიბრების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სპორტის სამინისტროსთან ერთად.

## III. შეჯიბრების მონაწილეები

- შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან 2012-2013 წელს დაბადებული ვაჟი ძიუდოისტები, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოდან, რომელთაც ჩააბარეს წინასწარი გამოცდები ძიუდოს საწყისებში. გამოცდაჩაუბარებელი ძიუდოისტები შეჯიბრებაზე არ დაიშვებიან.
- სალიცენზიო შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის აუცილებელია პირადმა მწვრთნელებმა საკუთარი მოსწავლეების საწევრო გადასახადი, თითოეულ ძიუდოისტზე 100 (ასი) ლარი, ჩარიცხონ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის საბანკო ანგარიშზე და შესაბამისი სია წარმოადგინონ (ან გამოაგზავნონ ელექტრონულად gjf.registr@gmail.com ფედერაციაში. რის შემდეგაც შესაბამის ძიუდოისტებს უფლება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ ძიუდოს ფედერაციის მიერ წლის განმავლობაში ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებებში (შეჯიბრება, სემინარი, შეკრება, გამოცდა და სხვ.). დამატებითი ინფორმაცია დოკუმენტაციის სახით შეგიძლიათ იხილოთ დანართში.
- საწევრო თანხის გადარიცხვის გარეშე ძიუდოისტები შეჯიბრებაზე არ დაიშვებიან. თანხა უნდა ჩაირიცხოს 28 იანვრამდე.

- დებულება საწევროს შესახებ
- კალენდარი
- საწევროს სარეგისტრაციო ფორმა
- საბანკო ანგარიში - საქართველოს ბანკი.
- მიმღების დასახელება - საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია.
  ბანკის კოდი - BAGAGE22
  მიმღების ანგარიშის ნომერი - GE55BG0000000121179301

## IV. შეჯიბრების დრო, ადგილი, რეგისტრაცია, კენჭისყრა.

- შეჯიბრება ჩატარდება 6-8 თებერვალს თბილისში ძიუდოს აკადემიაში, ბელიაშვილის 38.
- კენჭისყრა ჩატარდება აწონვის შემდეგ.
- შეჯიბრებაზე ჩამოსვლის დღე 29 იანვარი, წასვლის დღე 2 თებერვალი.
- შეჯიბრების დასაწყისი 10:00* (შესაძლებელია ცვლილება).

**რეგისტრაცია**

- პირადმა მწვრთნელებმა საკუთარი ძიუდოისტები უნდა დაარეგისტრირონ ელექტრონულად 30 იანვრამდე.
- ძიუდოისტთა რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვებგვერდიდან https://gjf.ge/geo/calendar/georgia სპეციალური სარეგისტრაციო ფორმის შევსებით.
- 2 თებერვალს ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდება მონაწილეთა სია. მწვრთნელები ვალდებულნი არიან გადაამოწმონ საკუთარი ძიუდოისტები და უზუსტობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობონ საორგანიზაციო კომიტეტს.

## V. შეჯიბრების ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 3 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე. დამამშვიდებელ წრეში იმოქმედებს `ოქროს ქულის~ წესი.
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში;
- შეჯიბრება ტარდება ვაჟთა შორის 10 წონით კატეგორიაში:
- -34კგ, -38კგ, -42კგ, -46კგ, 50კგ, -55კგ, -60კგ, -66კგ, -73კგ, +73კგ;
- 6 თებერვალი: -34კგ, -46კგ, -60კგ, +73კგ.
- 7 თებერვალი: -38კგ, -50კგ, -66კგ.
- 8 თებერვალი: -42კგ, -55კგ, -73კგ.
- PS. რეგისტრაციის შემდეგ შესაძლებელია შეიცვალოს წონით კატეგორიებში შეჯიბრების ჩატარების დღეები.
- სარეიტინგო ტურნირისთვის გამოვლინდება წონით კატეგორიაში 32 ძიუდოისტი.

## VI. აწონვა

თბილისი, ძიუდოს აკადემია, ბელიაშვილის 38.
აწონვები ჩატარდება წონითი კატეგორიების მიხედვით შეჯიბრების წინა დღეს.
არაოფიციალური 16:30 – 17:00 საათამდე;
ოფიციალური 17:00 – 18:00 საათამდე;

## VII. შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, მედპერსონალის ხელფასი და სხვა) უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სპორტის სამინისტროსთან ერთად.

**საორგანიზაციო კომიტეტი:**

ტელეფონი/ფაქსი 0322516466;

საკონტაქტო პირი - ზურაბ უსუფაშვილი 577994407;

ფინანსური საკითხები - ანა წიწრიაშვილი 551502244.

PS.

- შეჯიბრებაზე სპორტსმენთათვის სავალდებულოა თეთრი და ლურჯი კიმანოს ქონა.
- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დარღვევის შემთხვევაში ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს დისციპლინარულ საკითხებზე.
- აკრძალულია ძიუდოისტებისთვის წონის კლება წონით კატეგორიაში მოსახვედრად. ძიუდოს ფედერაციის მხრიდან მკაცრად იქნება გაკონტროლებული მონაწილეთა წონები და შესაძლებელია კონტროლი შეჯიბრების მიმდინარეობის დროსაც. იმ მწვრთნელთა მიმართ, რომელთა ძიუდოისტებიც დაარღვევენ წონის კლების დებულებას, ფედერაცია გაატარებს შესაბამის ღონისძიებებს.

ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ნოზაძე